მტკიცებულებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების საკონტროლო სია

ევროპის საბჭოს

ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი

The Congress
Le Congrès

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

ნაშრომის სახელწოდება ინგლისურ ენაზე:

Checklist for Evidence-based Decision Making (English version)

წინამდებარე ნაშრომში გამოხატული მოსაზრებები წარმოადგენს ავტორთა პასუხისმგებლობას და შესაძლოა არ ასახავდეს ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოლიტიკას.

არაუმეტეს 500 სიტყვიანი ნაწყვეტების რეპროდუცირება დაშვებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რეპროდუცირება მიზნად ისახავს კომერციული სარგებლის მიღებას, და იმ ფაქტის გათვალისწინებით თუ დაცული იქნება დოკუმენტების მთლიანობა, ნაწყვეტი არ იქნება გამოყენებული კონტექსტიდან ამოვარდნილი ფორმით, არ იქნება არასრული ინფორმაციის შემცველი ან არ შეიყვანს მკითხველს შეცდომაში ტექსტის ბუნებასთან, მოცულობასა და შინაარსთან დაკავშირებით. წყარო ყოველთვის უნდა იყოს მითითებული როგორც „© ევროპის საბჭო, გამოცემის წელი“. ყველა სხვა თხოვნა დოკუმენტის მთლიანი ტექსტის ან მისი ნაწილის რეპროდუცირებასთან/თარგმნასთან დაკავშირებით უნდა გაეგზავნოს ევროპის საბჭოს კომუნიკაციების დირექტორატს (F-67075 Strasbourg Cedex ან publishing@coe.int).

გამოცემასთან დაკავშირებული ყველა სხვა თხოვნა უნდა გაეგზავნოს ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესს.

ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი
F 67075 Strasbourg Cedex
საფრანგეთი
ელ-ფოსტა: congress.adm@coe.int

დოკუმენტის დიზაინი: შ.პ.ს. რეს ბონე

სურათი: Shutterstock

© ევროპის საბჭო, ნოემბერი, 2023

მტკიცებულებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების საკონტროლო სია

საკონტროლო სია შემუშავდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის მათი პოლიტიკის, სტრატეგიებსა და სერვისების ჩამოყალიბების პროცესში მტკიცებულებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად. საკონტროლო სია არის რესურსი, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს დაეხმარებათ, ადამიანის უფლებათა შესახებ სანდო მონაცემებსა და საფუძვლიან ანალიზზე დაყრდნობით, ინფორმირებული გადაწყვეტილებები მიიღონ. სია გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და რესურსების ეფექტიანი განაწილების უზრუნველყოფისთვის იმ აუცილებელ ნაბიჯებს მოიცავს, რაც საბოლოოდ უფრო ეფექტიან და მტკიცებულებაზე ორიენტირებულ მმართველობას შეუწყობს ხელს.

1. განსაზღვრეთ საკითხი/პრობლემა, რომელიც ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა გადაჭრას:

- ☐ რომელი **პრობლემის** გადაჭრას აპირებთ?
- ☐ მოსახლეობის რომელ **ჯგუფს** ეხება ეს საკითხი?
- ☐ **ადამიანის რომელ უფლებებს** უკავშირდება იდენტიფიცირებული პრობლემა?
- ☐ როგორ მოქმედებს ეს პრობლემა **ქალებსა და მამაკაცებზე განსხვავებულად?**

2. დაადგინეთ, შედის თუ არა ეს საკითხი ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციაში:

- ☐ გაქვთთუარასაჭიროკომპეტენციებიამსაკითხისგადაწყვეტისთვის?
- ☐ თუ არა - რა ინსტრუმენტებს ფლობთ, რომელიც დაგეხმარებათ ამ პრობლემის შესახებ ცენტრალურ ხელისუფლებას **აცნობოთ**?

3. განსაზღვრეთ ალტერნატიული გზები ამ საკითხის არსებული რესურსებით გადაჭრის მიზნით:

- ☐ რა სახის **პოლიტიკის თუ საკანონმდებლო ცვლილებები** შეიძლება განიხილოთ ამ საკითხის გადასაჭრელად?
- ☐ რა სახის **უკვე არსებულ რესურსებს** გამოიყენებდით?
- ☐ რა სახის **დამატებითი რესურსები** დაგჭირდებათ?
- ☐ როგორ განსაზღვრავთ დამატებითი რესურსების **ღირებულებას/ოდენობას?**
- ☐ სად შეგიძლიათ **გაანაწილოთ** ეს რესურსები?

4. დაადგინეთ ყველა ის მონაცემი, რომელიც საჭიროა პოლიტიკის შემუშავების/სერვისის მიწოდების გაუმჯობესების მიზნით:

- ☐ რა სახის **მეორადი მონაცემები** (სტატისტიკური თუ სხვა) დაგჭირდებათ?
- ☐ რა სახის **პირველადი მონაცემები** (მოწოდებული უშუალოდ სამიზნე ჯგუფებისგან, ექსპერტებისგან) შეგიძლიათ მოიპოვოთ?
- ☐ რა სახის მონაცემები გჭირდებათ, მაგრამ **არ გაქვთ უფლებამოსილება,** რომ მოიპოვოთ?
- ☐ რა **ინსტრუმენტები** არსებობს, რათა ცენტრალურ ხელისუფლებას აცნობოთ მონაცემთა შეგროვების საჭიროება?

5. განსაზღვრეთ მონაცემთა შეგროვების ყველა საჭირო მეთოდი:

- ☐ მონაცემთა შეგროვების რა მეთოდებია **შესაძლებელი და ხელმისაწვდომი**?
- ☐ არის თუ არა ეს მეთოდები **შესაბამისი** იმ დროისა და რესურსებისთვის, რომელიც მოგეპოვებათ?

6. შეაგროვეთ ყველა გამოვლენილი და საჭირო მონაცემები/ინფორმაცია:

- ☐ შეგიძლიათ **სტატისტიკური ინფორმაციის** გამოთხოვა შესაბამისი სამთავრობო უწყებებისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციებისგან?
- ☐ შეგიძლიათ **სამაგიდო კვლევის** ჩატარება და არსებული ანგარიშების ანალიზი?
- ☐ შეგიძლიათ **ინტერვიუების/ფოკუს** ჯგუფების ჩატარება სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლებთან ან დარგის სპეციალისტებთან?
- ☐ შეგიძლიათ პირისპირ თუ ონლაინ **რაოდენობრივი კვლევის** ჩატარება?

7. ხელახლა შეაფასეთ, საკითხის გაგებისთვის საკმარისი მონაცემები/ინფორმაცია შეგროვდა თუ არა:

- ☐ შეგროვებული მონაცემების საფუძველზე, სრულად **გასაგებია** თუ არა იდენტიფიცირებული საკითხი?
- ☐ შესაძლებელია თუ არა მონაცემთა **გადამოწმება**? თუ კი, როგორ?

8. შეაფასეთ, გაქვთ თუ არა საკმარისი მონაცემი/ინფორმაცია ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად:

- ☐ ახლა, როდესაც პრობლემა გამოვლინდა, გაქვთ თუ არა ყველა საჭირო მონაცემი, რათა **მტკიცებულებაზე დაფუძნებული** გადაწყვეტილება მიიღოთ?
- ☐ შესაძლებელია ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც **იცავს და უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებს?**

შენიშვნები:

ატკიცებულებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების საკონტროლო სია შემუშავებულია ადგილობრივ თვითმმართველობათა ფორუმის წევრების მიერ, საზაფხულო სკოლის ‘ადამიანის უფლებათა მონაცემებისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავება ადგილობრივ დონეზე’ ფარგლებში 2022 წელს.

ადგილობრივ თვითმმართველობათა ფორუმი უნიკალური პლატფორმაა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობას სოციალური ინკლუზიის გაუმჯობესების, თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესში გენდერული პერსპექტივის გათვალისწინების მიმართულებით, რათა აღმოიფხვრას დისკრიმინაცია. ფორუმი შეიქმნა პროექტის "მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებენ ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი და დემოკრატიისა და ადამიანის ღირსების გენერალური დირექტორატი საქართველოსთვის ევროპის საბჭოს 2020-2023 სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის ფინანსური მხარდაჭერით.

www.coe.int

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში წამყვანი ორგანიზაცია კონტინენტზე. ის აერთიანებს 46 წევრ სახელმწიფოს, მათ შორის, ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოს. ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი არის ევროპის საბჭოს ინსტიტუტი, რომელიც პასუხისმგებელია ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის გაძლიერებაზე საბჭოს 46 წევრ სახელმწიფოში. კონგრესი შედგება ორი პალატისაგან - ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების პალატისა და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების პალატისაგან - და სამი კომიტეტისაგან. ის აერთიანებს 130 000-ზე მეტი ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენელ 612 არჩეულ თანამდებობის პირს.

The Congress
Le Congrès

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE